

რეგისტრირებულია  
საქართველოს ოუსტიციის  
სამინისტროში  
13 აპრილი 1998 წ.  
რეგისტრაციის  
N 430.003.000.137

ძალაშია 1998 წლის 15 იანვრიდან

## ხელშეკრულება

### საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო, სავაჭრო და სისხლის სამარათლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ

ორ ქვეყანას შორის მეგობრული კავშირების განმტკიცების, სამოქალაქო, სავაჭრო და სისხლის სამართლებრივ საკითხებთან, აგრეთვე დამნაშავეთა გადაცემასთან და მსჯავრდებული პირების გადაყვანასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთდახმარების გაწევის მიზნით, ეროვნული დამოუკიდებლობის, თანასწორუფლებიანობის და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებზე დაყრდნობით,

გადაწყვიტეს რა სამოქალაქო, სავაჭრო და სისხლის სამართლებრივ საკითხებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულების დადგება,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი |  
ნაწილი |  
გოგადი დებულებანი

## მუხლი 1

1. ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქეები ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე თავიანთი პირადი და ქონებრივი უფლებების და კანონიერი ინტერესების ისეთივე სამართლებრივი დაცვით სარგებლობენ, როგორც ამ მხარის საკუთარი მოქალაქეები.

2. ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქეებს მეორე მხარის ტერიტორიაზე მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუძლიათ მიმართონ ამ მხარის სასამართლოებს და სხვა კომპეტენტურ ორგანოებს სამოქალაქო, სავაჭრო და სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებულ საკითხებზე, ისევე როგორც ამ მხარის საკუთარმა მოქალაქეებმა.

3. ამ ხელშეკრულების დებულებანი გამოიყენება აგრეთვე იმ იურიდიული პირების მიმართ, რომლებიც დაფუძნებული არიან ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად და მის ტერიტორიაზე გააჩნიათ მართვის

ორგანო.

## მუხლი 2

წინამდებარე ხელშეკრულების იმპლემენტაციის მიზნით ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ერთმანეთთან კავშირს ამყარებენ დიპლომატიური არხებით.

## მუხლი 3

ხელშეკრულების მონაწილე მხარეების იუსტიციის სამინისტროები თხოვნის საფუძველზე მიაწვდიან ურთიერთს ინფორმაციას მათი სახელმწიფოს კანონმდებლობის და მისი გამოყენების პრაქტიკის შესახებ, რაც დაკავშირებულია ხელშეკრულების საგანთან.

## თავი II

### ნაწილი I

სამართლებრივი დახმარება სამოქალაქო და  
საგაჭრო საკითხებთან დაკავშირებით

## მუხლი 4

1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეების კომპეტენტური ორგანოები ერთმანეთს აღმოუჩენენ სამართლებრივ დახმარებას სამოქალაქო და საგაჭრო საკითხებთან დაკავშირებით.

2. ურთიერთდახმარება მოიცავს, განსაკუთრებით პროცესუალურ გადაწყვეტილებათა შესრულებას, მათ შორის დოკუმენტების გადაცემას, მხარეთა და მოწმეთა მოსმენას, ექსპერტთა გამოკითხვას, საგნებისა და ადგილის დათვალიერებას.

## მუხლი 5

1. მოთხოვნა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ უნდა შეიცავდეს:

ა) მოთხოვნის წარმომდგენი და მოთხოვნის შემსრულებელი ორგანოების დასახელებას;

ბ) სამართლებრივი დახმარების შესახებ მოთხოვნის საგანს;

გ) მხარეთა სახელებს, მოქალაქეობას, ინფორმაციას მათი საქმიანობის და მუდმივი ან დროებითი საცხოვრებელი ადგილის შესახებ;

დ) მხარეთა წარმომადგენლების სახელებსა და მისამართებს;

ე) მოთხოვნის შინაარს და მისი შესრულებისათვის აუცილებელ მონაცემებს.

2. მოთხოვნა სამართლებრივი დახმარების შესახებ შემკითხველი მხარის მიერ ოფიციალური წესით ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს.

## მუხლი 6

1. სამართლებრივი დახმარების შესახებ მოთხოვნის შესრულებისას შესაბამისი

ორგანო გამოიყენებს თავის ქვეყნის მოქმედ კანონმდებლობას, ამასთან ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის თხოვნით მას შეუძლია გამოიყენოს მეორე მხარის საპროცესო ნორმები, თუკი იგი არ ეწინააღმდეგება მისი სახელმწიფოს კანონმდებლობას.

2. თუ შემსრულებელი მხარის ორგანო არაკომპეტენტურია მოთხოვნის შესრულებაში, მაშინ იგი მოთხოვნას გადაუგზავნის კომპეტენტურ დაწესებულებას და ამის შესახებ აცნობებს შემკითხველ მხარეს.

3. მოთხოვნის შესრულების შემდეგ შემსრულებელი დაწესებულება საქმის მასალებს უგზავნის მოთხოვნის წარმომდგენ დაწესებულებას, აცნობებს მას მოთხოვნის შეუსრულებელი ნაწილის შესახებ და მისი შეუსრულებლობის მიზებებს.

## მუხლი 7

1. შემსრულებელი დაწესებულება დოკუმენტების გადაცემას ახორციელებს მის სახელმწიფოში მოქმედი წესების შესაბამისად თუ გადასაცემი დოკუმენტები შემსრულებლის ენაბეა შედგენილი ან დართული აქვს მის ენაბე დამოწმებული თარგმანი. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მიმღებს მაშინ ჩაბარდება, თუკი იგი ნებაყოფლობით დათანხმდება მათ მიღებაზე.

2. დოკუმენტების გადაცემის შესახებ მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს მიმღების ბუსტი მისამართი და გადასაცემი დოკუმენტის დასახელება.

3. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მისამართი არასრული ან არაზუსტი აღმოჩნდა, შემსრულებელი დაწესებულება დებულობს ბომებს ბუსტი მისამართის დასადგენად. თუ მისამართის დადგენა შეუძლებელი გახდა, მოთხოვნის შემსრულებელი მხარე მოთხოვნის წარმომდგენ დაწესებულებას აცნობებს ამის შესახებ და მოთხოვნას დოკუმენტით ერთად უკან უბრუნებს.

## მუხლი 8

დოკუმენტის გადაცემის დადასტურება ფორმდება ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად. დადასტურებაში მითითებული უნდა იქნეს გადაცემის დრო და ადგილი.

## მუხლი 9

სამართლებრივი დახმარების გაწვასთან დაკავშირებულ ხარჯებს მთლიანად გაიღებს ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარე, შემდგომი ანაზღაურების გარეშე.

## მუხლი 10

ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელ მხარეს შეუძლია უარი განაცხადოს სამართლებრივი დახმარების გაწევაზე, თუ იგი გიანს აყენებს მის სუვერენიტეტს, უშიშროებას ან საბოგადოებრივ წესრიგს.

## მუხლი 11

1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის | ნაწილსა და მე-13 მუხლში აღნიშნული დოკუმენტების გარდა, სამართლებრივი დახმარების შესახებ მოთხოვნას და თანდართულ დოკუმენტებს უნდა დაერთოს შემსრულებელი მხარის ენაზე დამოწმებული თარგმანი, ან მათი ინგლისური ვარიანტები.

2. თარგმანი უნდა დამოწმდეს შემკითხველი დაწესებულების კომპეტენტური თარჯიმნის, ნოტარიუსის ან ხელშეკრულების მონაწილე მხარეების დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულებათა მიერ.

3. სამართლებრივი დახმარების შესახებ მოთხოვნა სრულდება შემსრულებელი მხარის ენაზე.

## მუხლი 12

1. ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის შესაბამის ორგანოში გამოძახების საფუძველზე გამოცხადებულ მოწმეს ან ექსპერტს, მიუხედავად მათი მოქალაქეობისა, არ შეიძლება ამ მხარის ტერიტორიაზე დაედოს ბრალი, აყვანილ იქნას პატიმრობაში ან დაედოს მსჯავრი ამ ტერიტორიაზე სახელმწიფო საზღვრის გადალახვამდე ჩადენილი დანაშაულისათვის.

მოწმე ან ექსპერტი ვალდებულია დატოვოს შემკითხველი მხარის ტერიტორია 15 დღის განმავლობაში იმის შეტყობინებიდან, რომ მისი დასწრება აუცილებლობას არ წარმოადგენს. ამ ვადაში არ ჩაითვლება დრო, რომლის განმავლობაშიც მოწმეს ან ექსპერტს ობიექტურ გარემოებათა გამო არ შეეძლო დაეტოვებინა შემკითხველიმხარის ტერიტორია.

აღნიშნულ პირებს არ შეიძლება დაედოთ ბრალი ან დაკავებულ იქნან მათ მიერ მიცემული ჩვენების ან მიცემული დასკვნის გამო.

2. გამოძახებული მოწმის ან ექსპერტის მგბავრობის, კვების და ცხოვრების ხარჯებს გაიღებს შეიკითხველი მხარე თავის კანონმდებლობის შესაბამისად. ამის თაობაზე მითითებული უნდა იყოს მოთხოვნაში. აღნიშნულ პირთა თხოვნით შემკითხველი მხარის დაწესებულებებმა შეიძლება წინასწარ აუნაზღაურონ მათ შესაბამისი ხარჯები.

## ნაწილი II დოკუმენტები

## მუხლი 13

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები მეორე მხარის სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე თარგმანის გარეშე და უფასოდ გადაუგზავნიან ერთმანეთს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ მოწმობის ასლებს და სხვა დოკუმენტებს, რომლებიც ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის მოქალაქეთა პირად უფლებებსა და ქონებრივ ინტერესებს ეხება.

## მუხლი 14

1. ხელშეკრულების მონაწილე ერთ\_ერთი მხარის ტერიტორიაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი, დადასტურებული და ოფიციალური ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტები ან მათი აუთენტური ასლები მეორე მხარის ტერიტორიაზე მიღება ლეგალიზაციის გარეშე.

2. ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის ტერიტორიაზე ოფიციალური დოკუმენტები ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე ოფიციალური დოკუმენტების დამატებიცებელი ძალით სარგებლობენ.

### ნაწილი III სასამართლო ხარჯებისაგან გათავისუფლება

#### მუხლი 15

არ შეიძლება სასამართლო ხარჯების გადახდევინება პირისათვის მხოლოდ იმ მიზებით, რომ იგი უცხოელია ან არ გააჩნია ამ ქვეყანაში მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი.

#### მუხლი 16

1. ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქეები ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის სასამართლოში თავისუფლდებიან სასამართლო ხარჯებისაგან და გაეწევათ უფასო სამართლებრივი დახმარება იგივე პირობებით, როგორც ამ მხარის მოქალაქეებს.

2. აღნიშნული სამართლებრივი დახმარება გადაწყვეტილების აღსრულების ჩათვლით, ვრცელდება ყველა იმ პროცესუალურ მოქმედებაზე, რომლებიც ამ პროცესის მსვლელობასთან დაკავშირებით ხორციელდება.

#### მუხლი 17

1. მე\_16 მუხლით გათვალისწინებული შედავათებით სარგებლობისათვის აუცილებელ დოკუმენტს პირადი, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ გასცემს ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კომპეტენტური ორგანო, რომლის ტერიტორიაზეც ამ პირს გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი.

2. თუ განმცხადებელს ხელშეკრულების მონაწილე მხარეების ტერიტორიაზე არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი, მაშინ ასეთი დოკუმენტების გაცემა შეუძლია მისი სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას.

3. სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლიია, ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლის გათვალისწინებით, დოკუმენტის გამცემ თრგანოს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია.

#### მუხლი 18

თუ ხელშეკრულების მონაწილე ერთ\_ერთი მხარის სასამართლო მეორე მხარის ტერიტორიაზე მცხოვრები პირის მიმართ გარკვეული პროცესუალური მოქმედების განსახორციელებლად დააწესებს ვადას, ამ ვადის მიმდინარეობა დაიწყება შემსრულებლისათვის ამის შესახებ მოთხოვნის გადაცემის დღიდან.

## ნაწილი IV სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება

### მუხლი 19

1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები წინამდებარე ხელშეკრულების დებულებათა საფუძველზე ცნობენ და აღასრულებენ მეორე მხარის ტერიტორიაზე გამოტანილ შემდეგ გადაწყვეტილებებს:

- ა) გადაწყვეტილებებს სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებზე;
- ბ) განაჩენებს მატერიალური გიანის ანაზღაურების ნაწილში;
- გ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებზე.

2. სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილება აღსრულებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გამოტანილია ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ. ამ მუხლის I პარაგრაფის (ა) პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები აღსრულდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართალურთიერთობანი, რომლებიც ამ გადაწყვეტილების საფუძველია, წარმოიშვება ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ.

3. პიროვნების პირად სტატუსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების ცნობა მოხდება იმისდა მუხედავად, ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე იქნა ისინი მიღებული თუ მას შემდეგ.

### მუხლი 20

მე\_19 მუხლში აღნიშნულ გადაწყვეტილებათა ცნობა მეორე მხარის მიერ შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი პირობებისას:

ა) თუ გადაწყვეტილება, გამოტანილი ერთ\_ერთი მხარის მიერ, საბოლოოა და ექვემდებარება აღსრულებას მის ტერიტორიაზე;

ბ) თუ გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის კანონმდებლობით ჩაითვლება კომპეტენტურად აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაში;

გ) თუ პირი, რომელიც გამოძახებულია სასამართლოში, ხელშეკრულების მონაწილე გადაწყვეტილების გამომტანი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად სათაადო წესით გაფრთხილებული იყო ამის შესახებ უწყების ჩაბარების გზით;

დ) თუ პროცესის მხარეები სარგებლობდნენ დაცვის უფლებით, აგრეთვე შესაბამისი წესით ეცნობათ სასამართლოში გამოცხადების აუცილებლობის შესახებ და შესაძლებლობა ჰქონდათ ჰყოლოდათ წარმომადგენლები იმ შემთხვევაში თუ თავად

მოკლებულ იყვნენ თავის დაცვის ან სარჩელის წაყენების შესაძლებლობას;

ე) თუ იმავე სამართლებრივ დავაზე, იმავე მხარეებს შორის ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის ტერიტორიაზე, სადაც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, არ არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება;

ვ) თუ იმავე მხარეებს შორის, იმავე საკითხზე და იმავე მიზებებით შემსრულებელ მხარის ტერიტორიაზე არ მიმდინარეობს სასამართლო პროცესი;

გ) გადაწყვეტილების აღსრულება ხორციელდება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომელიც ცნობს და აღასრულებს მას. ასეთი გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება მოხდება შემდეგ შემთხვევებში:

1. ასეთი კანონი გამოყენებულ იქნა მართებულად;
2. იმ მონაწილე მხარის კანონმდებლობა, რომელიც ცნობს და აღასრულებს გადაწყვეტილებას პრინციპულად არ განსხვავდება მეორე მხარის კანონმდებლობისაგან.

თ) ასეთი გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება იმ მხარის კანონმდებლობის ძირითად პრინციპებს და საჯარო წესრიგს, სადაც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.

## მუხლი 21

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, მე-20 მუხლში გათვალისწინებული პირობების გარდა ((გ) პუნქტის გამოკლებით) უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც აღსრულებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილება, საქმე საარბიტრაჟო განხილვის საგანია;

ბ) გადაწყვეტილება გამოფანილია მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების ან საარბიტრაჟო დათქმის საფუძველზე;

გ) საარბიტრაჟო სასამართლოს შემადგენლობა შეესაბამება მხარეთა შეთანხმებას ან საარბიტრაჟო დაქტმას ხელშეკრულებაში, ანდა შეესაფყვისება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობას, სადაც ადგილი ჰქონდა საარბიტრაჟო განხილვას;

დ) მხარეები სათანადო წესით იყვნენ გაფრთხილებული არბიტრის ან საარბიტრაჟო განხილვის დანიშვნის თაობაზე;

ე) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია იმ ქვეყანაში, რომელმაც ის გამოიტანა.

## მუხლი 22

1. მოთხოვნა გადაწყვეტილების ცნობისა ან აღსრულებისათვის, ამ ხელშეკრულების 1\_ლი მუხლის დებულებათა შესაბამისად, უშუალოდ წარედგინება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კომპეტენტურ ორგანოს, რომელმაც უნდა ცნოს ან აღასრულოს ეს გადაწყვეტილება.

2. მოთხოვნას თან უნდა დაერთოს:

ა) სასამართლოს გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი, აგრეთვე ოფიციალური ცნობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ, თუ ასეთი თავად ტექსტიდან არ გამომდინარეობს;

ბ) დოკუმენტი იმის შესახებ, რომ მოპასუხე, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია პროცესში, სათანადო ფორმით გაფრთხილებული იყო სასამართლოში გამოძახების შესახებ და აგრეთვე თავის დაცვის შეუძლებლობის შემთხვევაში სათანადოდ იყო წარმოდგენილი;

გ)ამ მუხლის ა) და ბ) პუნქტებში მითითებულ დოკუმენტებს თან უნდა დაერთოს გადაწყვეტილების აღმასრულებელი მხარის ენაზე ან ინგლისურ ენაზე დამოწმებული თარგმანები.

## მუხლი 23

1. სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცესი რეგულირდება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომლის ფერიფორიაზეც უნდა მოხდეს ცნობა და აღსრულება.

2. ამ ხელშეკრულების იმპლემენტაციისას, შემსრულებელი მხარე გადაწყვეტილებას არსებითად კი არ განიხილავს, არამედ მხოლოდ მის ამ ხელშეკრულებასთან შესაბამისობაში.

## მუხლი 24

ამ ხელშეკრულების დებულებები გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე არ ეხება ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა მიერ გადაწყვეტილებათა აღსრულების შედეგად მოპოვებული ფულადი თანხების და ნივთების გადაგზავნის შესახებ ამ სახელმწიფო არსებულ კანონმდებლობას.

## თავი III ნაწილი I

### სამართლებრივი დახმარება სისხლის სამართლის საქმეებზე

## მუხლი 25

1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას გაუწიონ ერთმანეთს სამართლებრივი დახმარება სისხლის სამართლის საქმეებზე.

2. სისხლის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივი დახმარება მოიცავს დოკუმენტების გადაცემას, ჩხრეკის ჩატარებას, მტკიცებულებათა შემცველი დოკუმენტებისა და ქონების ამოღებას, ბრალდებულთა დაკითხვას, მოწმეთა და ექსპერტთა მოსმენას, შემთხვევის ადგილის და საგნების ექსპერტიბას (დათვალიერებას).

## მუხლი 26

1. მოთხოვნა სისხლის სამართლებრივ საკითხებზე სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ უნდა შეიცავდეს:

- ა) შემკითხველი და შემსრულებული ორგანოების დასახელებას;
- ბ) მოთხოვნის საგანს;

გ) ბრალდებულთა ან მსჯავრდებულთა სახელებს, ინფორმაციას მათი მოქალაქეობის, საქმიანობის, საცხოვრებელი ადგილის შესახებ და შესაძლებლობების ფარგლებში მათი დაბადების თარიღს, ადგილს და მშობლების დასახელებას;

დ) მათი რწმუნებულების სახელებსა და მისამართებს;

ე) მოთხოვნის შინაარსს და მისი შესრულებისათვის აუცილებელ ინფორმაციას, ცნობებს დანაშაულის ხასიათის შესახებ და იმ ფაქტების აღწერას, რომლის საფუძველზეც მოცემულ ქმედებას მიეცა კონკრეტული კვალიფიკაცია.

2. მოთხოვნა და თანდართული დოკუმენტები უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული შემკითხველი ორგანოს მიერ.

## მუხლი 27

1. სამართლებრივი დახმარების შესახებ მოთხოვნის შესრულებისას შემსრულებელი ორგანო გამოიყენებს თავის ქვეყნის კანონმდებლობას. ამასთან, შემსრულებელ ორგანოს შეუძლია შემკითხველი ორგანოს თხოვნის საფუძველზე გამოიყენოს შემკითხველი მხარის საპროცესო კანონმდებლობა, თუ იგი არ ეწინააღმდეგება შემსრულებელი ქვეყნის კანონმდებლობას.

2. იმ შემთხვევაში თუ შემსრულებელი ორგანო არაკომპეტენტურია მოთხოვნის შესრულებაში, მან მოთხოვნა უნდა გადაუგზავნოს კომპეტენტურ ორგანოს და ამის შესახებ აცნობებს მოთხოვნის წარმომდგენ ორგანოს.

3. მოთხოვნის შემსრულებელი ორგანო აცნობებს მოთხოვნის წარმომდგენ ორგანოს სამართლებრივი დახმარების შესახებ მოთხოვნის შესრულების თარიღსა და ადგილს. შემკითხველი მხარის დაინტერესებულ თვიციალურ პირებს შეუძლიათ, მეორე მხარის თანხმობით, დაესწრონ სამართლებრივი დახმარების განხორციელებას.

4. მოთხოვნის შემსრულებელი მხარე სამართლებრივი დახმარების განხორციელების შემდეგ მასალებს უგზავნის მოთხოვნის წარმომდგენ ორგანოს ან შესრულებლობის შემთხვევაში ატყობინებს შესრულების ხელისშემშლელ გარემოებათა შესახებ.

## მუხლი 28

1. თუ წარმოიშვება შემკითხველი მხარის სასამართლო ორგანოს წინაშე მოწმის ან ექსპერტის გამოცხადების აუცილებლობა, მოთხოვნაში უნდა მიეთითოს მათთვის უწყების ჩაბარების შესახებ.

2. ამ მუხლის I პუნქტის შესაბამისად გაკეთებული მოთხოვნა არ უნდა შეიცავდეს სანქციას გამოცხადებლობის შემთხვევაში.

3. მოწმის ან ექსპერტის სამგბავრო, საცხოვრებელ და ექსპერტისათვის აუცილებელ ხარჯებს გაიდებს შემკითხველი მხარე.

4. შემკითხველი მხარის სასამართლო ორგანოს წინაშე ნებაყოფლობით გამოცხადებული მოწმეს ან ექსპერტს, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, არ შეიძლება დაედოს ბრალი, აყვანილ იქნეს პატიმრობაში, დაედოს მსჯავრი ან სხვაგვარად შეებლებოს პირადი თავისუფლება ამ ტერიტორიაზე ისეთი სამართლდარღვევისათვის, რომელიც ჩადენილია მის მიერ ამ მხარის საზღვრის გადალახვამდე.

5. მოწმე ან ექსპერტი არ სარგებლობს ამ იმუნიტეტით, თუ იგი 15 დღის

განმავლობაში შეცყობინებიდან, რომ მისი დასწრება აუცილებლობას აღარ წარმოადგენს, არ დატოვებს ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის ტერიტორიას. ამ ვადაში არ ჩაითვლება პერიოდი, რომლის განმავლობაში მოწმეს ან ექსპერტს მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არ შეეძლო ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის ტერიტორიის დატოვება.

### მუხლი 29

1. დოკუმენტების გადაცემას შემსრულებული მხარე ახორციელებს თავის კანონმდებლობის შესაბამისად თუ მათ თან ახლავს დამოწმებული თარგმანები მის ენაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში დოკუმენტების გადაცემა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მიმღები თანახმაა მიიღოს ისინი.

2. მოთხოვნაში გადაცემის უნდა იყოს მითითებული პირის მისამართი და გადასაცემი დოკუმენტის ხასიათი.

3. იმ შემთხვევაში თუ მოთხოვნაში პირის მისამართი დაზუსტებულია, შემსრულებული მხარე დებულობს შესაბამის ბომბებს მისამართის დასაზუსტებლად. თუ მისამართის დაზუსტება შეუძლებელია, იგი აცნობებს ამის შესახებ შემკითხველ ორგანოს და უბრუნებს გადასაცემ დოკუმენტებს.

### მუხლი 30

დოკუმენტის გადაცემის დამოწმება ხორციელდება შემსრულებელი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად. დამოწმება უნდა შეიცავდეს მონაცემებს გადაცემის დროისა და ადგილის შესახებ.

### მუხლი 31

28- ე მუხლის მე 3 ნაწილის შესაბამისად, შემსრულებელი მხარე კისრულობს სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისას მის ტერიტორიაზე წარმოქმნილ ხარჯებს შემდგომი ანაზღაურების გარეშე.

### მუხლი 32

1. უარი სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ შემსრულებელი მხარე თვლის, რომ მოთხოვნის შესრულება ეწინააღმდეგება შემსრულებული მხარის სუვერენიტეტს, უსაფრთხოებას ან საჯარო წესრიგის საფუძვლებს;

ბ) მოთხოვნის შესრულება მიუღებელია შემსრულებელი მხარის შიდა კანონმდებლობის მიხედვით.

2. იმ შემთხვევაში, თუ სამართლებრივი დახმარება არ გაიწევა წინა პუნქტებში აღნიშნული მიზეზების გამო, ამის შესახებ უარი დასაბუთებული უნდა იყოს.

### მუხლი 33

1. 29\_ ე მუხლის | ნაწილითა და 58 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა მოთხოვნას სამართლებრივი დახმარების შესახებ და თანდართულ დოკუმენტებს თან უნდა ერთვოდეს თარგმანები შემსრულებელი მხარის ან ინგლისურ ენაზე.

2. თარგმანის დამოწმება ხდება შემკითხველი მხარის მიერ, კომპეტენტური თარჯიმნის, ნოტარიუსის ან დიპლომატიური წარმომადგენლის ან საკონსულოს ოფიციალური პირის მიერ.

3. დოკუმენტები, რომლებიც მოპოვებულია მოთხოვნის შესრულების პროცესში, შედგენილი უნდა იყოს შემსრულებელი მხარის ენაზე.

## ნაწილი II პირთა გადაცემა

### მუხლი 34

1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები, ამ ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად, კისრულობენ ვალდებულებას სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მისაცემად ან განაჩენის სისრულეში მოსაყვანად ერთმანეთს გადასცენ მათ ტერიტორიაზე მყოფი პირები.

2. პირის გადაცემა სისხლის სამართლებრივი დევნის განსახორციელებლად წარმოებს ისეთი ქმედებებისათვის, რომლებიც ხელშეკრულების მონაწილე ორივე მხარის კანონმდებლობის თანახმად ისჯება თავისუფლების აღკვეთით 12 თვეზე მეტი ვადით ან უფრო მძიმე სასჯელით.

3. პირის გადაცემა განაჩენის სისრულეში მოსაყვანად წარმოებს იმ შემთხვევაში, თუ პირი მსჯავრდებულია თავისუფლების აღკვეთით 6 თვეზე მეტი ვადით ან უფრო მძიმე სასჯელით.

4. თუ გადაცემის მოთხოვნა ეხება რამდენიმე განსხვავებულ ქმედებას, რომლებიც ხელშეკრულების მონაწილე ორივე მხარის კანონმდებლობის თანახმად ისჯება თავისუფლების აღკვეთით, მაგრამ რომელთა ნაწილიც არ აკმაყოფილებს ამ მუხლის 2 და 3 პუნქტებში მოცემულ პირობებს, გადაცემა შეიძლება მოხდეს იმ დანაშაულისათვის, რომელიც აკმაყოფილებს ამ პუნქტების მოთხოვნებს.

### მუხლი 35

1. გადაცემა არ მოხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) პირი, რომლის გადაცემასაც მოითხოვენ შემსრულებელი მხარის მოქალაქეა;  
ბ) მოთხოვნა გადაცემის თაობაზე მიუღებელია შემსრულებელი მხარისათვის მისი კანონმდებლობის, ხანდაგმულობის ვადის გასვლის ან სხვა კანონიერი საფუძვლის გამო;

გ) პირის მიმართ, რომლის გადაცემის შესახებაც თხოვნაა გაგზავნილი, იმავე დანაშაულისათვის არსებობს შემსრულებელი მხარის მიერ გამოგანილი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენი ან დადგენილება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ;

დ) დანაშაული ჩადენილია შემსრულებელი მხარის ტერიტორიაზე.

2. იმ შემთხვევაში, თუ გადაცემა არ ხდება იმის გამო, რომ პირი შემსრულებელი მხარის მოქალაქეა, ამ უკანასკნელმა შემკითხველი მხარის დავალებით ამ პირის მიმართ უნდა აღძრას სისხლის სამართლებრივი დევნა. შემკითხველი მხარე წარუდგენს შემსრულებლ მხარეს დანაშაულთან დაკავშირებულ პირად საქმეს, ცნობებს და სხვა ინფორმაციას. შემკითხველი მხარე ინფორმირებული უნდა იყოს სისხლის სამართლებრივი დევნის შედეგების შესახებ.

## მუხლი 36

1. მოთხოვნას სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების შესახებ თან უნდა ერთვოდეს პირის პატიმრობაში აყვანის შესახებ დადგენილების დამოწმებული ასლი, დანაშაულის შემადგენლობის აღწერა და კანონის ტექსტი, რომელიც განსაზღვრავს სასჯელს აღნიშნული დანაშაულისათვის, ჩადენილი დანაშაულის შედეგად გამოწვეული მაგერიალური გარალის შემთხვევაში შეძლებისდაგვარად გუსტად უნდა აღინიშნოს მისი მოცულობის შესახებ.

2. განაჩენის სისრულეში მოსაყვანად პირის გადაცემის მოთხოვნას უნდა დაერთოს განაჩენის დამოწმებული ასლი და კანონის ტექსტი, რომლის საფუძველზეც პირია მსჯავრდებული. თუ მსჯავრდებულმა მოიხადა სასჯელის ნაწილი, საჭიროა ამის შესახებ ეცნობოს შემსრულებელ მხარეს.

3. მოთხოვნა გადაცემის შესახებ უნდა შეიცავდეს პირის გვარს, სახელს, მონაცემებს მისი მოქალაქეობის, საცხოვრებელი ადგილის, პირადი სტატუსის შესახებ, აგრეთვე ფოტოსურათსა და თითების ანაბეჭდებს.

4. მოთხოვნის წარმომდგენი მხარე ვალდებული არ არის დაურთოს მოთხოვნას მტკიცებულებანი.

## მუხლი 37

იმ შემთხვევაში თუ მოთხოვნა პირის გადაცემის შესახებ არ შეიცავს ყველა საჭირო მონაცემებს, შემსრულებელ მხარეს შეუძლია მოითხოვოს დამატებითი მონაცემები. ამისათვის შემსრულებელ მხარეს შეუძლია დანიშნოს ვადა, რომელიც შეიძლება გაფრძელდეს, მაგრამ არა უმეტეს 2 თვისა.

## მუხლი 38

პირის გადაცემის შესახებ მოთხოვნის მიღებისთანავე შემსრულებელი მხარე დაუყოვნებლივ დებულობს ყველა საჭირო ზომებს პირის პატიმრობაში აყვანის ჩათვლით. აღნიშნული დებულება არ ვრცელდება იმ შემთხვევებშე, როდესაც არ ხდება პირის გადაცემა ამ ხელშეკრულების დებულებიდან გამომდინარე.

## მუხლი 39

განსაკუთრებულ შემთხვევაში შემკითხველი მხარის კომპეტენტურ პირებს შეუძლიათ მოითხოვონ პირის პატიმრობაში აყვანა მოთხოვნის გაგზავნამდე. ამ საკითხს შემსრულებელი ორგანოები წყვეტენ თავიანთი კანონმდებლობის შესაბამისად.

მოთხოვნაში დროებითი დაკავების შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს 36 მუხლის 1-ლ და მე\_2 ნაწილში აღნიშნული ერთ\_ერთი დოკუმენტი და რომ მოთხოვნა გადაცემის შესახებ გამოიგზავნება დაუყოვნებლივ. ასევე უნდა მიეთითოს იმ დანაშაულის შესახებ, რომლის გამოც იგზავნება მოთხოვნა პირის გადაცემის შესახებ, დანაშაულის ჩადენის ადგილი და თარიღი, შეძლებისდაგვარად ზუსტი აღწერილობა პირისა, რომლის გადაცემის შესახებაც იგზავნება მოთხოვნა.

მოთხოვნა დროებითი დაკავების შესახებ უნდა გაეგზავნოს შემსრულებელი მხარის კომპეტენტურ ორგანოებს დიპლომატიური არხებით, პირდაპირ ფოსტით ან ტელეგრაფით, საერთაშორისო პოლიციის მეშვეობით ან ნებისმიერი სხვა წერილობითი საშუალებით, რომელზეც დათანხმდება შემსრულებელი მხარე.

შემკითხველ დაწესებულებას დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მისი მოთხოვნის შედეგების შესახებ.

პატიმრობაში აყვანილი პირი შეიძლება გათავისუფლდეს, თუ მისი პატიმრობაში აყვანიდან 45 დღის განმავლობაში შემსრულებელი მხარე არ მიიღებს მოთხოვნას პირის გადაცემის შესახებ, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს 36-ე მუხლში აღნიშნული დოკუმენტები. ეს ვადა არცერთ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს 60 დღეს პირის დაპატიმრების მომენტიდან. თუმცა გამორიცხული არ არის პირის დროებით განთავისუფლების შესაძლებლობა, მაგრამ შემსრულებელმა მხარემ უნდა მიიღოს ყველა აუცილებელ ზომა, რათა აღკვეთოს პირის გაქცევის შესაძლებლობა.

პირის გათავისუფლებამ ხელი არ უნდა შეუშალოს მის ხელახლა დაპატიმრებასა და გადაცემას, თუ შემდგომ მიღებული იქნება მოთხოვნა მისი გადაცემის შესახებ.

## მუხლი 40

### გადაცემის გადავადება ან დროებითი გადაცემა

1. შემსრულებელ მხარეს, გადაცემის შესახებ მოთხოვნაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, შეუძლია გადადოს პირის გადაცემა, რათა პასუხისმგებაში მისცეს იგი ანდა სისრულეში მოიყვანოს ის განაჩენი, რომელიც გამოტანილია მის მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულისათვის.

2. შემსრულებელ მხარეს შეუძლია გადავადების ნაცვლად დროებით გადასცეს პირი ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველ მხარეს. პირი უნდა იქნას დაბრუნებული იმ პრცესუალური მოქმედების ჩატარების შემდეგ, რომლისთვისაც იგი იყო გადაცემული, ამასთან იგი დაბრუნებულ უნდა იქნას არა უგვიანეს 3 თვისა.

## მუხლი 41

### მოთხოვნა რამოდენიმე სახელმწიფოს მიერ

თუ მოთხოვნა გადაცემის შესახებ მიღებულ იქნა რამდენიმე სახელმწიფოსაგან, გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რომლის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, მიიღებს შემსრულებელი მხარე.

## მუხლი 42

## **სპეციალური წესი და მესამე სახელმწიფოსათვის გადაცემის წესი**

1. ხელშეკრულების მონაწილე მხარის თანხმობის გარეშე არ შეიძლება პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა ან დასჯა იმ დანაშაულისათვის, რომელიც გადაცემის საფუძველი არ ყოფილა, აგრეთვე არ შეიძლება მისი გადაცემა მესამე სახელმწიფოსათვის შემსრულებელი მხარის თანხმობის გარეშე.

2. შემსრულებელი მხარის თანხმობა საჭირო არ არის შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ პირმა პროცესის დამთავრების, განაჩენის გამოტანის ან სასჯელის მოხდის შემდეგ 15 დღის განმავლობაში არ დატოვა შემკითხველი მხარის ტერიტორია.

ამ ვადაში არ შედის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ამ პირს მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ შეეძლო დაეტოვებინა შემკითხველი მხარის ტერიტორია;

ბ) გადაცემული პირი შემკითხველი მხარის ტერიტორიის დატოვების შემდეგ დაბრუნდა ამ ქვეყანაში.

## **მუხლი 43**

### **გადაწყვეტილება მოთხოვნის თაობაზე**

1. შემსრულებელი მხარე აცნობებს მოთხოვნის წარმომდგენ მხარეს გადაცემის შესახებ მოთხოვნასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას.

2. გადაცემაზე უარის ან ნაწილობრივ უარის შემთხვევაში შემკითხველ მხარეს უნდა ეცნობოს უარის მიზეზების შესახებ.

3. თუ ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარე თანხმობას განაცხადებს გადაცემაზე, იგი აცნობებს ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველ მხარეს გადაცემის დროსა და ადგილს. თუ შემკითხველი მხარე გადაცემის დადგენილი თარიღიდან 15 დღის განმავლობაში არ მიიღებს გადასაცემ პირს, ეს პირი პატიმრობიდან უნდა გათავისუფლდეს.

## **მუხლი 44**

თუ გადაცემული პირი გაიქცა და დაბრუნდა შემსრულებელი მხარის ტერიტორიაზე, მისი ხელმეორედ გადაცემისათვის 36-ე მუხლში მითითებული დოკუმენტების წარდგენა შემკითხველი მხარის მიერ საჭირო ადარ არის.

## **მუხლი 45**

### **ტრანზიტი**

1. ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარე ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის თხოვნით ნებას აძლევს თავის ტერიტორიაზე გაატაროს მესამე მხარისათვის გადაცემული პირი. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ვალდებული არ არიან ნება დართონ იმ პირთა გადაყვანაზე, რომელთა გადაცემაც ამ ხელშეკრულების დებულებით დაუშვებელია.

2. ხელშეკრულების მონაწილე მხარეების კომპეტენტური პირები ყოველ

ცალკეულ შემთხვევაში ათანხმებენ ტრანზიტის მარშრუტსა და პირობებს.

### მუხლი 46

#### ინფორმაცია სისხლის სამართლებრივი დევნის შედეგების შესახებ

ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარე აცნობებს ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელ მხარეს გადაცემული პირის მიმართ განხორციელებული სისხლის სამართლებრივი დევნის შედეგებს. ამის გარდა, ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარე თხოვნის საფუძველზე მიაწვდის შემსრულებელ მხარეს საბოლოო გადაწყვეტილების ასლს.

### მუხლი 47

გადაცემის და დროებითი დაკავების პროცედურა განისაზღვრება მხოლოდ შემსრულებელი მხარის კანონმდებლობით.

### მუხლი 48

გადაცემის მოთხოვნისათვის საჭირო დოკუმენტებს თან უნდა დაერთოს შემსრულებელი მხარის ენაზე ანდა ინგლისურ ენაზე შესრულებული და დამოწმებული თარგმანები.

#### ნაწილი III

#### მსჯავრდებულთა გადაცემა სასჯელის მოსახდელად იმ ქვეყნისათვის, რომლის მოქალაქეები ის არის

### მუხლი 49

1. ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მსჯავრდებული პირები, ურთიერთშეთანხმებისა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით, სასჯელის მოსახდელად გადაეცემიან ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარეს, რომლის მოქალაქეებიც ისინი არიან.

2. სასჯელის მოხდის მიზნით მსჯავრდებულის გადაცემა ხორციელდება ხელშეკრულების მონაწილე განაჩენის გამომტანი მხარის წინადადებითა და ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის თანხმობით.

3. ხელშეკრულების მონაწილე მხარემ, რომლის მოქალაქეები არის მსჯავრდებული, შეუძლია მიმართოს მეორე მხარეს, რომლის სასამართლომაც გამოიგანა განაჩენი, მისი მოქალაქის გადაცემის შესახებ თხოვნით.

### მუხლი 50

49-ე მუხლში გათვალისწინებული პროცედურის განხორციელების მიზნით მსჯავრდებულის წარმომადგენელს ან მისი ოჯახის წევრებს შეუძლიათ თხოვნით

მიმართონ მსჯავრდებულის გადაცემის შესახებ ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთი მხარის კომპეტენტურ ორგანოებს. შემკითხველი მხარის კომპეტენტური ორგანოები მსჯავრდებულს განუმარტავენ ასეთი მიმართვის შესაძლებლობის შესახებ.

## მუხლი 51

მსჯავრდებულის გადაყვანა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ქმედება, რომელიც სასჯელის დადების საფუძველი გახდა, მისი სახელმწიფოს კანონმდებლობითაც დანაშაულს წარმოადგენს.

## მუხლი 52

1. მსჯავრდებულის გადაყვანა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მისივე თანხმობით.
2. თუ მსჯავრდებულს არ შეუძლია განაცხადოს თანხმობა, ამ შემთხვევაში თანხმობა მიღებულ უნდა იქნეს მისი კანონიერი წარმომადგენლისაგან.

## მუხლი 53

შემსრულებელმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს შემკითხველ მხარეს მსჯავრდებულის გადაყვანის შესახებ მოთხოვნის შესრულებაზე თანხმობის ან უარის შესახებ.

## მუხლი 54

1. თუ ხელშეკრულების მონაწილე მხარეები შეთანხმდებიან მსჯავრდებულის გადაყვანაზე, შემსრულებელი ქვეყნის კომპეტენტური ორგანო გადაწყვეტილებაში მოცემული განაჩენის აღსრულების შესახებ, განსაზღვრავს სასჯელის ისეთივე ხარისხსა და ვადას, რაც განაჩენითაა დადგენილი.

2. თუ სასჯელი თავისი ხასიათით ან ხანგრძლივობით არ შეესაბამება აღმსრულებელი მხარის კანონმდებლობას, ამ უკანასკნელის კომპეტენტურმა ორგანომ შეუძლია გამოიყენოს იმავე კვალიფიკაციის დანაშაულისათვის თავის კანონმდებლობით გათვალისწინებული სასჯელი. აღნიშნული სასჯელი თავისი ხასიათით, შეძლებისდაგვარად, უნდა შეესაბამებოდეს განაჩენში მითითებულ სასჯელს. ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის მიერ გამოყენებული სასჯელი თავისი ხასიათით არ შეიძლება იყოს უფრო მკაცრი, ვიდრე განაჩენში მითითებული სასჯელი და არ უნდა აღემატებოდეს ამ კვალიფიკაციის დანაშაულისათვის მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმუმს.

3. აღმსრულებელი მხარის კომპეტენტურ ორგანოს არ შეუძლია გამოიყენოს პირის თავისუფლების აღმკვეთი სასჯელის ნაცვლად სხვა რომელიმე სახის სასჯელი.

## მუხლი 55

გადაცემაზე შემსრულებელი მხარის თანხმობის შემთხვევაში, ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა კომპეტენტური ორგანოები ათანხმებენ გადაცმის ადგილს, დროსა

და პირობებს. მსჯავრდებულის გადაცემა უნდა მოხდეს განაჩენის გამომტანი მხარის ტერიტორიაზე.

### მუხლი 56

1. განაჩენის სისრულეში მოყვანა უნდა მოხდეს განაჩენის აღმასრულებელი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად.
2. ამნისტია ხორციელდება განაჩენის გამომტანი და განაჩენის აღმასრულებელი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით.
3. მსჯავრდებულის შეწყალება შეუძლია განახორციელოს განაჩენის აღმასრულებელმა მხარემ.
4. გადაცემული მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვის უფლება აქვს მხოლოდ განაჩენის გამომტან სასამართლოს.

### მუხლი 57

1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ერთმანეთს აცნობებენ განაჩენის სისრულეში მოყვანაზე ზემოქმედების შესაძლებლობის ყველა გარემოებას, ამნისტიის, შეწყალების და სასამართლოს განაჩენის გადასინჯვის შედეგების შესახებ.
2. განაჩენის აღმასრულებელი მხარე განაჩენის გამომტან მხარეს აცნობებს განაჩენის აღსრულების შესახებ.

### მუხლი 58

მსჯავრდებულის გადაგზავნა იმ ქვეყანაში, სადაც მან სასჯელი უნდა მოიხადოს, შესაძლებლობის ფარგლებში განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 43-ე მუხლის მუ-3 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

### მუხლი 59

1. მოთხოვნა მსჯავრდებულის გადაყვანის შესახებ სრულდება წერილობით.
2. მოთხოვნას უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:
  - ა) განაჩენის დამოწმებული ასლი, რომელსაც თან ერთვის ინფორმაცია, რომ ეს გადაწყვეტილება საბოლოოა;
  - ბ) კანონის ტექსტი, რომელშიც აღნიშნულია მოცემული დანაშაული და შესაბამისი სასჯელი;
  - გ) შეძლებისდაგვარად ზუსტი მონაცემები პირის ვინაობის, მოქალაქეობისა და მისამართის შესახებ;
  - დ) დოკუმენტები მსჯავრდებულის მიერ სასჯელის ნაწილის მოხდის შესახებ;
  - ე) გადაყვანის თაობაზე მსჯავრდებულის თანხმობის ოქმი (დეკლარაცია);
  - ვ) მოთხოვნის განხილვისათვის მნიშვნელოვანი სხვა დოკუმენტები.

### მუხლი 60

თუ განაჩენის აღმსრულებელი მხარე თვლის, რომ მის ხელთ არსებული ცნობები

და დოკუმენტები არადამაკმაყოფილებელია, მას შეუძლია სრული ინფორმაცია მოსთხოვოს განაჩენის გამომტან ქვეყანას და დააწესოს ვადა. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს მოთხოვნის საფუძველზე. თუ განაჩენის აღმასრულებელმა მხარემ აღნიშნული ინფორმაცია არ მიიღო, მას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება მის ხელთ უკვე არსებული ცნობებისა და დოკუმენტების საფუძველზე.

## მუხლი 61

მოთხოვნა გადაყვანის შესახებ და თანდართული დოკუმენტები არ საჭიროებს ფორმალურ დამოწმებას და მას თან უნდა დაერთოს თარგმანი განაჩენის აღმსრულებელი მხარის ან ინგლისურ ენაზე.

## მუხლი 62

მსჯავრდებულის გადაყვანასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯებს გაიღებს განაჩენის აღმასრულებელი მხარე, გარდა იმ ხარჯებისა, რომლებიც წარმოიშვება განაჩენის გამომტანი მხარის ტერიტორიაზე.

### ნაწილი IV სისხლის სამართლებრივი დევნის საკითხებთან დაკავშირებული დებულებები

## მუხლი 63

ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარე, ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის თხოვნით და თავიანთი კანონმდებლობის საფუძველზე, აღმრავს სისხლის სამართლებრივ დევნის თავისი მოქალაქეების მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე.

## მუხლი 64

1. 63-ე მუხლში გათვალისწინებული სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებისათვის ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ერთმანეთს უგზავნიან წერილობით მოთხოვნას, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) მოთხოვნის წარმომდგენი ორგანოს დასახელება;

ბ) დოკუმენტები, რომლებიც ეხება მოთხოვნაში აღნიშნული დანაშაულის საგანს, დანაშაულის დროისა და ადგილის ჩათვლით;

გ) შესაძლებლობის ფარგლებში მონაცემებს ეჭვმიგანილის ვინაობის, მოქალაქეობის, ადგილსამყოფელის ან საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

2. მოთხოვნას თან ერთვის ქვემოთ მითითებული დოკუმენტები:

ა) მოთხოვნის წარმომდგენი მხარის ენაზე შედგენილი გამოძიების მასალები ან დედანთან სათანადოდ დამოწმებული მისი ასლები;

ბ) სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებისათვის აუცილებელი მტკიცებულებით ხასიათის ნივთები და დოკუმენტები. ამ შემთხვევაში გამოყანებული უნდა იქნეს ამ ხელშეკრულების 67-ე მუხლის დებულებები;

გ) ხელშეკრულების მონაწილე შემკითხელი მხარის კანონის ტექსტი, რომლის საფუძველზეც ქმედება დანაშაულად არის მიჩნეული;

დ) ეჭვმიგანილის ფოფოსურათი, აუცილებლობის შემთხვევაში შეძლებისდაგვარად მისი თითის ანაბეჭდები.

3. ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარე აცნობებს მეორე მხარეს სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების შედეგებს და უგზავნის საბოლოო გადაწყვეტილების ასლს.

## მუხლი 65

1. თუ ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის ტერიტორიაზე პატიმრობაში მყოფი პირი ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარეს მოწმედ ესაჭიროება, შემსრულებელ მხარეს შეუძლია დათანხმდეს პირის დროებით გადაყვანაზე შემკითხველი მხარის ტერიტორიაზე, იმ პირობით, რომ იგი პატიმრობაში იქნება და უკან გაიგზავნება პირველივე ხელსაყრელ შემთხვევაში.

2. თუ საჭირო შეიქმნა მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე პატიმრობაში მყოფი პირის მოწმის სახით მოსმენა, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ნებას რთავენ ტრანზიტით გადაიყვანონ ეს პირი მათ ტერიტორიაზე.

3. ამ მუხლის I და II პარაგრაფში გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოიყენება ამ ხელშეკრულების 28-ე მუხლის დებულებები.

## მუხლი 66

1. ნებისმიერი ნივთი, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენასთან ან რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს მტკიცებულებას სისხლის სამართლებრივი დევნის პროცესში, გადაცემული უნდა იქნეს შემკითხველი მხარისათვის, მაშინაც კი, თუ პირის გადაცემის განხორციელება შეუძლებელია მისი არყოფნის ან სხვა მიზეზების გამო.

2. შემსრულებელ მხარეს შეუძლია დროებით შეაჩეროს ნივთების გადაცემა თუ ისინი მისთვის საჭიროა სხვა სისხლის სამართლის საქმის წარმოებისათვის.

3. აღნიშნულ ნივთებზე მესამე პირთა უფლებები დაცულია. ასეთი ნივთები უნდა დაუბრუნდეს შემსრულებელ მხარეს შესაბამისი პირებისათვის გადასაცემად.

## მუხლი 67

ექსტრადიციასა და ნივთების გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა გაიღოს შემკითხველმა მხარემ, გარდა იმ ხარჯებისა, რომლებიც უშუალოდ გაწეულ იქნა შემსრულებელი მხარის ტერიტორიაზე.

## მუხლი 68

1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები არანაკლებ წელიწადში ერთხელ უგზავნიან ინფორმაციას ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის მოქალაქეების მიმართ მათ ტერიტორიაზე გამოფანილი და აღსრულებული განაჩენების შესახებ.

2. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები, თხოვნის საფუძველზე ერთმანეთს აწვდიან ინფორმაციას იმ პირთა შესახებ, რომლებიც მსჯავრდებულნი იყვნენ

შემსრულებელი მხარის ტერიტორიაზე და აგრეთვე იმ პირთა შესახებ, რომელთა  
მიმართ უკვე წარმოებდა სისხლის სამართლებრივი დევნა შემკითხველი მხარის  
ტერიტორიაზე.

3. ამ მუხლის 1-ლი და 2-ე პუნქტებში აღნიშნულ შემთხვევებში, ხელშეკრულების  
მონაწილე მხარეებმა, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა გადაუგზავნონ ერთმანეთს  
მსჯავრდებულ პირთა თითის ანაბეჭდები.

### მუხლი 69

III თავის დებულებები ვრცელდება ასევე შეამდგომლობებზე, რომლებიც ეხება  
ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე არსებულ შემთხვევებსაც.

### თავი IV დასკვნითი დებულებები

### მუხლი 70

ნებისმიერი უთანხმოება, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ამ  
ხელშეკრულებიდან გამომდინარე, უნდა გადაწყდეს დიპლომატიური გზით.

### მუხლი 71

წინამდებარე ხელშეკრულება ექვემდებარება რატიფიკაციას. სარატიფიკაციო  
სიგელების გაცვლა მოხდება ქ. \_\_\_\_\_  
ხელშეკრულება ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლიდან 30 დღის  
შემდეგ.

### მუხლი 72

ხელშეკრულება იდება განუსაზღვრელი ვადით. ხელშეკრულების მონაწილე  
მხარეებს შეუძლიათ მისი დენონსაცია ნებისმიერ დროს, აცნობებენ რა ამის შესახებ  
ნოტით ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარეს.

ხელშეკრულება ძალას კარგავს დენონსაციის შესახებ შეცყობინებიდან 6 თვის  
შემდეგ.

წინამდებარე ხელშეკრულება ხელმოწერილი და ბეჭედდასმულია  
ხელშეკრულების მონაწილე მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

შესრულებულია ქ. ანკარაში 1996 წლის 4 აპრილს სამ ეგბემპლარად,  
თითოეული ქართულ, თურქულ და ინგლისურ ენებზე, ამასთან სამივე ტექსტს თანაბარი  
ძალა გააჩნია. ამ ხელშეკრულების დებულებათა განმარტებისას უპირატესი ძალა  
ენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

საქართველოს სახელით

თურქეთის რესპუბლიკის სახელით